საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

# საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

## ბაკალავრიატი

| პროგრამის სახელწოდება: | ისტორია |
|---|---|
| დაშვების წინაპირობა | ერთიანი ეროვნული გამოცდები,<br>ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ისტორიის ბაკალავრი |
| პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა | 240 ECTS კრედიტი.<br>ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (110 კრედიტი სპეციალობის საგნები; 20 კრედიტი საუნივერსიტეტო საგნები, 20 კრ. ინგლისური ენა, 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები; 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი – არჩევითი), დამატებით სპეციალობა - 60 კრედიტი. |
| სწავლების გადასახადი | სწავლება უფასოა |
| საკონტაქტო პირი | ასოცირებული პროფესორი სულხან ალექსაია<br>ტელ.: 593378309 ელფოსტა: aleqsaia77@mail.ru |
| პროგრამის მიზანი | **მისცეს სტუდენტს**:<br>➢ მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა მსოფლიო ცივილიზაციების წარმოშობისა და განვითარების ისტორიაში;<br>➢ ასევე საქართველოს ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ მსოფლიო ისტორიის კონტექსტში;<br>➢ ჩამოუყალიბოს სტუდენტს მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკულიგააზრების უნარი როგორც ეროვნული ისტორიის ფარგლებში, ისემსოფლიო ისტორიის კონტექსტში;<br>➢ ისეთი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავება, რომ კურსდამთავრებულებმა შეძლონ სწავლა გააგრძელონ განათლების შემდეგ საფეხურზე;<br>**სტუდენტმა შეძლოს**:<br>➢ განუვითაროს ისტორიული წყაროების წაკითხვის, ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი ისტორიულ ჭრილში განხილვისა და კომენტირების უნარი;<br>➢ გამოუმუშაოს საისტორიო მეცნიერებებისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, გაანალიზების, ინტერპრეტაციის, არგუმენტირებული მსჯელობის, კვლევისა და დასკვნის უნარი;<br>➢ გამოუმუშაოს ისეთი კომპეტენციები, რომ კურსდამთავრებულმა შესძლოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით წარმატებით დასაქმება სხვადასხვა სფეროში; მას გათავისებული ექნება შემდგომი უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების, კონკურენციის, ინოვაციებისთვის მზაობის, ეთიკური ნორმების და აკადემიური კეთილსინდისიერების უნარები.<br>**სტუდენტმა**<br>➢ ხელი შეუწყოს სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ეროვნული იდენტობის ფორმირებას, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრებასა და პატივისცემას |

| | |
|---|---|
| **სწავლის ფორმატი და მეთოდები** | პროგრამა ლექცია-სემინარების, ჯგუფში მუშობის, შუალედური გამოცდების, პრეზენტაციების და დასკვნითი გამოცდის ფორმატში იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. მეთოდების შერჩევა და გამოყენება ხდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ფარგლებში შესასრულებელი იმ დავალების მოცულობისა და სირთულის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას სწავლების პროცესში. ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას (ლექცია - ვიზუალური პრეზენტაცია - ვერბალური განმარტება - დისკუსია - დამოუკიდებელი დავალება (წიგნზე მუშაობა, ჩანაწერები) და სხვა. |
| **შეფასება** | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში |

**სწავლის შედეგები**

ცოდნა და გაცნობიერება

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

A_1. კურსდამთავრებულს აქვს საქართველოს და მსოფლიო ისტორიის (პრეისტორიული, ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი პერიოდები) ზოგადი ჩარჩოსა ცოდნა; ისტორიული მოვლენების, პრობლემების და ინტერესების ამა თუ იმ ეპოქის კულტურულ-პოლიტიკურ ვითარებასთან კავშირის გაცნობიერების და მათი დიაქრონულ ჭრილში ცვალებადობის გაგება-გაანალიზების უნარი;

A_2. საქართველოს და მსოფლიო ისტორიის ფართო ცოდნა არა იზოლირებულად, არამედ იმ ცივილიზაციებთან და ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებთანაც საქართველო ისტორიულად იყო დაკავშირებული (კავკასია, აღმოსავლეთი, ევროპა) და რომლებიც მისი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორებია თანამედროვე ეტაპზე (ევროპა, ამერიკა);

A_3. აქვს მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი, როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში;

A_4. აცნობიერებს, რომ თანამედროვე სწრაფად ცვალებად მსოფლიოში წარსულის, ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის და, ზოგადად, საზოგადოების პროგრესის კნონზომიერებათა ცოდნა და კრიტიკული გააზრება, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შემდგომი განვითარებისათვის, არსებული გამოწვევების, გლობალიზაციის პროცესის ადეკვატურად აღქმისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

უნარი

B_1. კურსდამთავრებულს აქვს სხვადასხვა პერიოდის ისტორიული მოვლენებისა და წყაროების კრიტიკული შეფასების, ანალიზის, ანოტირებისა და რედაქტირების უნარი;

B_2. აქვს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, კვლევის საგნის განსაზღვრისა და მცირე მოცულობის ნაშრომის შექმნის უნარი;

B_3. შეუძლია ისტორიის სხვადახვა სფეროში ინფორმაციის მოძიება (ბიბლიოგრაფიული, საარქივო, სამუზეუმო, ზეპირსიტყვიერი და ა.შ.) და მოძიებული ინფორმაციის კატალოგიზაცია, გამოყენება, შეძენილი ცოდნის ინტეგრირება პროფესიულ საქმიანობაში;

B_4. შეუძლია ისტორიული მეცნიერებების სხვადასხვა საკითხზე მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, შესაბამისი ტერმინოლოგიისა და ტე¬ქნ-ოლოგიების გამოყენებით,

<table>
<tr><td colspan="2">
სპეციალისტთა და არსპეციალისტთა წრეში, საშუალო მოცულობის ისტორიოგრაფიული ხა¬¬სიათის ანგარიშების შედგენა და მისი ზეპირი ფორმით შე¬სა¬¬ბა¬¬¬მი¬სი აუდიტორიისათვის წარდგენა; საჭიროების შემთხვევაში, უცხოურ ენაზეც;<br>
B_5. შეუძლია დასახული ამოცანის გადასაჭრელად აბსტრაქტული და კრიტიკული აზროვნება, არგუმენტირებული მსჯელობის და დასკვნის, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე, რთული და ცვალებადი ამოცანების გადაწყვეტა.<br>
B_6. მონაწილეობს დისკუსიებსა და დებატებში, შეუძლია მშობლიურ და უცხოენოვან გარემოში კომუნიკაცია, გამართული წერითი და ზეპირი მეტყველება;<br>
B_7. აქვს ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევები გაითვალისწინოს განსხვავებები ინტერკულტურული კომუნიკაციის დროს; სხვა ქვეყნებისა კულტურის პატივისცემა;<br>
B_8. შეუძლია უცხო გარემოსთან და რთულ, ცვალებად პირობებთან ადაპტირება;<br>
B_9. შეუძლია კომპიუტერული და ინტერნეტ რესურსების გამოყენება მონაცემების დამუშავებისას;<br>
B_10. ფლობს სხვადასხვა პერიოდის შესწავლისთვის აუცილებელ უნარებს(კლასიკური ენები, პალეოგრაფია.<br>
<br>
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა<br>
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:<br>
C_1 ახასიათებს განსხვავებული აზრის, შეხედულებებისა და დასკვნების პატივისცემა, აღებული ვალდებულებების შესრულება, არის კრიტიკულად მოაზროვნე, პრაქტიკულ თუ სამეცნიერო საქმიანობაში ეთიკური პრინციპების დამცველი, ჰუმანისტური და დემოკრატიული ღირებულებების, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მქონე თავისუფალი პიროვნება.<br>
C_2. აღიარებს უწყვეტი პროფესიული განათლების აუცილებლობას. შეუძლია გუნდური მუშაობა, საკუთარი სწავლის პროცესის შეფასების თანმიმდევრულობა და მრავალმხრივობა, საკუთარი სწავლის პროცესის ობიექტურად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა და იმ პრიორიტეტების გამოყოფა, რაც განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს ან/და სფეროში დასაქმებაში შეუწყობს ხელს.
</td></tr>
<tr><td>დასაქმების სფეროები</td><td>
ისტორიის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს არქივში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში, ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სკოლებში მასწავლებლებად (დამატებით მასწავლებლის მომზადების სპეციალური პროგრამის გავლის შემთხვევაში), უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში დამხმარე პერსონალის თანამდებობებზე. ასევე, დასაქმდეს პერიოდული გამოცემების რედაქციებში, ტელე-რადიო კომპანიებში.<br>
მას აქვს პერსპექტივა იმუშაოს სახელმწიფოებრივ (მათ შორის, სამთავრობო უწყებებში, საელჩოებში და ა.შ.) და საერთაშორისო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო სექტორში.<br>
ისტორიის ბაკალავრს შეუძლია სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში სხვადასხვა მიმართულებაზე.
</td></tr>
</table>

| პროგრამის სახელწოდება: | ფილოლოგია |
|---|---|
| **დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები,<br>ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა უნივერსიტეტში |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ფილოლოგიის ბაკალავრი |
| **პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა** | 240 ECTS კრედიტი.<br>სპეციალობის ძრითადი საგნები – 115 კრედიტი; 20 კრედიტი საუნივერსიტეტო საგნები, 20 კრ. ინგლისური ენა, არჩვითი საგნები – 15 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომის შესრულება (არჩევითი) – 10 კრედიტი და დამატებითი სპეციალობა – 60 კრედიტი. |
| **სწავლების გადასახადი** | სწავლება უფასოა |
| **საკონტაქტო პირი** | თალიკო ბერიძე – პროფესორი<br>ტელ.: 593357893. ელფოსტა: tamarberidze08@gmail.com |
| **პროგრამის მიზანი** | **მისცეს სტუდენტს:**<br>➢ ზოგადად, ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების ცოდნა, გააცნოს ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კვლევის დანიშნულება და მნიშვნელობა;<br>➢ განუვითაროს ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი ისტორიულ და კულტურულ ჭრილში განხილვის, კომენტირებისა და ინტერპრეტირების უნარი;<br>➢ შეასწავლოს ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია.<br><br>**სტუდენტმა შეძლოს:**<br>➢ შეიძინოს პრაქტიკული უნარები შემდეგი მიმართულებებით: ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის და საგამომცემლო საქმის სფეროებში;<br>➢ ხელი შეუწყოს ქართული ლიტერატურის და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში. პროგრამის მიზანია, ფილოლოგიის ბაკალავრს ქართული ფილოლოგიის სპეციალობით ჰქონდეს ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ კომპლექსური ცოდნა, რათა მან პედაგოგიური მიმართულებით დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში შეძლოს დასაქმება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სკოლაში, ასევე შეეძლოს მუშაობა მასმედიის და საგამომცემლო სფეროში, საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საფუძველზე კი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება;<br>➢ კურსდამთავრებულის ფართო ჰუმანიტარულ–ფილოლოგიურ განათლება და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის ჩვევები, მას არა მხოლოდ ქართული ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების საშუალებასაც აძლევს.<br><br>**სტუდენტმა:**<br>➢ გააცნობიეროს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვების განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა, დაიცვას ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპები;<br>➢ შესძლოს საკუთარ თავზე მუშაობა, თვითგანვითარება და ცოდნის მუდმივად განახლება; |

| | |
|---|---|
| | ➢ გამოუმუშაოს ახალგაზრდას მეცნიერული პატიოსნებისა და ღირსების შეგნება, რათა საკუთარი თავდაუზოგავი შრომითა და მაღალი პროფესიონალიზმით მან ხელი შეუწყოს ჩვენს საზოგადოებაში ჯანსაღი სამოქალაქო შეგნებისა და დემოკრატიული იდეების დამკვიდრებას. |
| **სწავლის ფორმატი და მეთოდები** | პროგრამა ლექცია-სემინარების, ჯგუფში მუშობის, შუალედური გამოცდების, პრეზენტაციების და დასკვნითი გამოცდის ფორმატში იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. მეთოდების შერჩევა და გამოყენება ხდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ფარგლებში შესასრულებელი იმ დავალების მოცულობისა და სირთულის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას სწავლების პროცესში. ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას (ლექცია - ვიზუალური პრეზენტაცია - ვერბალური განმარტება - დისკუსია - დამოუკიდებელი დავალება (წიგნზე მუშაობა, ჩანაწერები) და სხვა. |
| **შეფასება** | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში |
| **სწავლის შედეგები** | |

**ცოდნა და გაცნობიერება**

A_1. იცის ქართველური ენების მიმართულებაში კურსდამთავრებულმა: ქართული სალიტერატურო ენის ნომრები; ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორია; ქართული ენის გრამატიკა და ლექსიკა; ქართული ენის სტრუქტურა და განვითარების ისტორია.

A_2. ქართული ლიტერატურის მიმართულე¬ბა¬ში კურსდამთავრებულმა იცის: ქართული ლიტე¬რატურის განვითარების ისტორია; ქართუ¬ლი ლიტერატურის ჟანრები, ქრესტო¬მათი¬ული ტექსტები და მათი ავტორების ბიოგრაფიები.

A_3. აცნობიერებს ქართული ფილოლოგიის კომპლექსური საკითხების ძირეულ კავშირს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის თეორიის ძირითად პრობლემებთან, აგრეთვე, ქართული ენისა და ლიტერატურის ადგილსა და როლს ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში;

ინტერდისციპლინური კომპეტენციები მოიცავს ბაზისურ ცოდნას ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა: საქართველოს ისტორია, ფსიქოლოგია, ფილოსოფიის შესავალი, კულტურის ისტორია, ქართული პალეოგრაფია, კლასიკური ენა, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, საინფორმაციო ტექნოლოგიები და უცხო ენა.

**უნარი**

**B_1.** ფილოლოგიური ცნებებით ოპერირება; მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა ქართულ ენაზე; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების (ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი და ახსნა–განმარტება) გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

**B_2.** ლიტერატურულ ტექსტებზე დაკვირვება, მათი აღწერა და ინტერპრეტაცია; ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება.

| | |
|---|---|
| **B_3.** კურსდამთავრებულს შეუძლია ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის, ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი მონაცემების მოპოვებისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება;<br>**B_4.** ჩამოყალიბებული აქვს: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვითა და ქართული ლიტერატურული მასალის გამოყენებით.<br>**B_5.** შეუძლია ქართული ფილოლოგიის სფეროში დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის, საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება ქართულ ენაზე და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე;;<br>დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა; სწავლებისა და კვლევის პროცესში ქართულ ფილოლოგიასა და ზოგადად ფილოლოგიურ მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენება.<br>**B_6.** შესწევს დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ლიტერატურის გამოყენების, სასწავლო მიზნით დროის დაგეგმვისა და ორგანიზების და ბაკალავრიატში სწავლისას გამოკვეთილი ინტერესების მიხედვით შემდგომ საფეხურზე სწავლის მიმართულების განსაზღვრის უნარი.<br><br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>**C_1.** პროფესიული ეთიკის ნორმები; აკადემიური პატიოსნების რაობა;<br>**C_2.** საქართველოში ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა და ზრუნავს ენის სიწმინდის დაცვისათვის;დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;<br>**C_3.** აქვს: ტოლერანტობისა და ინტელექტუალური საკუთრების, პიროვნების თავისუფლებისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა. ამ ღირებულებების საზოგადოებაში დამკვიდრება. | |
| **დასაქმების სფეროები** | ფილოლოგიის ბაკალავრს შეუძლია საქმიანობის განხორციელება მასმედიის და საგამომცემლო სფეროში, საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საფუძველზე კი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის (დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში) გაგრძელება. შესაძლებლობა, აქვს იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ამავე დროს, საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე. |

| პროგრამის სახელწოდება: | ხელოვნებათმცოდნეობა |
|---|---|
| დაშვების წინაპირობა | ერთიანი ეროვნული გამოცდები,<br>ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტში |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი |
| პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა | 240 ECTS კრედიტი.<br>სპეციალობის ძრითადი საგნები – 90 კრედიტი; სასწავლო პრაქტიკა – 10 კრ; 20 კრედიტი საუნივერსიტეტო საგნები, 20 კრ. ინგლისური ენა, არჩევითი საგნები – 30 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომის შესრულება (არჩევითი) – 10 კრედიტი და დამატებითი სპეციალობა – 60 კრედიტი. |
| სწავლების გადასახადი | სწავლება უფასოა |
| საკონტაქტო პირი | ნონა შუშანიძე – პროფესორი<br>ტელ.: 577254017 ელფოსტა shushanidze-nino@mail.ru |
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია შეასწავლოს სტუდენტს ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. მოამზადოს სპეციალისტი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგში, რომელიც შეძლებს ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპების მხატვრულ-ისტორიულ კონტექსტში გააზრებას. ზოგადი ხელოვნებათმცოდნეობითი განათლების საფუძველზე შეძლებს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. სწავლის გაგრძელებას აკადემიური განათლების მომდევნო საფეხურზე. |
| სწავლის ფორმატი და მეთოდები | პროგრამა ლექცია-სემინარების, ჯგუფში მუშობის, პრაქტიკული მეცადინეობის, შუალედური გამოცდების, პრეზენტაციების და დასკვნითი გამოცდის ფორმატში იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. მეთოდების შერჩევა და გამოყენება ხდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ფარგლებში შესასრულებელი იმ დავალების მოცულობისა და სირთულის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას სწავლების პროცესში. ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას (ლექცია - ვიზუალური პრეზენტაცია - ვერბალური განმარტება - დისკუსია - დამოუკიდებელი დავალება (წიგნზე მუშაობა, ჩანაწერები) და სხვა. |
| შეფასება | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში |
| **სწავლის შედეგები** | |
| **ცოდნა და გაცნობიერება**<br>ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა:<br>A_1. იცის ხელოვნების ისტორიის პერიოდიზაცია, მნიშვნელოვანი ეტაპები და მხატვრული თავისებურებები. შესაბამისი ისტორიული ეპოქის მიხედვით განიხილავს ქართული და მსოფლიო ხელოვნების მნიშვნელოვან საგანძურს და აცნობიერებს მის მნიშვნელობას თანამედროვე ეპოქაში. | |

| | |
|---|---|
| A_2. აცნობიერებს ძველი ქართული ხუროთმოძღრების, კედლის მხატვრობის, მინანქრის, მინიატურის, ჭედური ხელოვნების ნიმუშების თავისებურებებს და იაზრებს მხატვრული სტილის სპეციფიკას.<br>A_ 3. აქვს ცოდნა ფერწერის ტექნიკის შესახებ, ჟანრებისა და დარგების შესაბამისად არკვევს ხელოვნების ნიმუშების თარიღს და მათ ეპოქალურ კუთვნილებას განსაზღვრავს.<br>A_4. ინტერდისციპლინური კომპეტენციებით ღებულობს ბაზისურ ცოდნას დისციპლინებში: საქართველოს ისტორია, ფსიქოლოგია, ფილოსოფიის შესავალი, კულტურის ისტორია, ქართული პალეოგრაფია, კლასიკური ენა, მსოფლ. ლიტერატურის ისტორია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, უცხო ენა და სხვ.<br><br>**უნარი**<br>ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:<br>B_1. ხელოვნებათმცოდნეობითი ცნებებით ოპერირება, ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება.<br>B_2. გააჩნია ვიზუალური ხელოვნების ისტორიის ხელოვნებათმცოდნეობითი მეთოდების მეშვეობით კვლევითი ან პრაქტიკული პროექტების განხორციელების უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. შეუძლია მცირე მასშტაბის კვლევითი პროექტის დაგეგმვა.<br>B_3. შეუძლია ხელოვნების ისტორიის კონკრეტული ეპოქის პრობლემის გამოკვეთა და მისი შეფასება. აქვს ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორიის შესახებ მასალების შეგროვების, დასაბუთებული განმარტების უნარი.<br>B_4. შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება, დროის ეფექტურად გამოყენება. აქვს ხელოვნების ისტორიის პრობლემათა გააზრების, ახალი ცოდნის მიღების უნარი. შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურის საფეხურზე. დამოუკიდებლად შეუძლია სასწავლო მიზნით დროის დაგეგმვა და ორგანიზება ბაკალავრიატში სწავლისას გამოკვეთილი ინტერესების შესაბამისად.<br>B_5. აქვს ხელოვნებათმცოდნეობითი ლიტერატურის შერჩევის, დამუშავების და პრაქტიკაში გამოყენების, მოხსენების წარმოდგენის უნარი. გააჩნია პროფესიულ აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი.შეუძლია ხელოვნებათმცოდნეობით სფეროში დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის, ნაშრომის მომზადება დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა; სწავლებისა და კვლევის პროცესში ხელოვნებათმცოდნეობით მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენება.<br><br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>C_1. პროფესიული ეთიკის ნორმები.<br>C_2. საკუთარი პასუხისმგებლობით, საკუთარი გემოვნებით და სურვილით შეუძლია კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება.<br>C_3. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება. | |
| **დასაქმების სფეროები** | კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს სახელოვნებო პროფესიულ სკოლებში, სტუდიებში, მუზეუმებსა და გალერეებში, მედიაში, ტურისტულ სააგენტოებში და სხვა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებლის სერთიფიკატის მოპოვების შემთხვევაში. |

| პროგრამის სახელწოდება | ჟურნალისტიკა |
|---|---|
| დაშვების წინაპირობა | ერთიანი ეროვნული გამოცდები,<br>ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა უნივერსიტეტში |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ჟურნალისტიკის ბაკალავრი |
| პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა | 240 ECTS კრედიტი.<br>სპეციალობის ძრითადი საგნები – 100 კრედიტი, მათ შორის პრაქტიკა 10 კრ და საბაკალავრო ნაშრომი (არჩევითი) – 10 კრ; 20 კრედიტი საუნივერსიტეტო საგნები, 20 კრ. ინგლისური ენა, სპეციალობის არჩვითი საგნები – 90 კრ; თავისუფალი კრედითი – 10. |
| სწავლების გადასახადი | სწავლება უფასოა |
| საკონტაქტო პირი | ნესტან მამუჭაძე – პროფესორი<br>ტელ.: 591988764 ელფოსტა: mamuchadzenestan@gmail.com |
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია თანამედროვე პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტი იმგვარად, რომ მან შეძლოს კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული თეორიული ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენება. ბაკალავრის საფეხურზე მიღებული ცოდნა იქნება მყარი საფუძველი დამატებითი დარგობრივი და მულტიდისციპლინური ცოდნის მიღებისა და გაღრმავებისათვის. |
| სწავლის ფორმატი და მეთოდები | პროგრამა ლექცია-სემინარების, ჯგუფში მუშობის, შუალედური გამოცდების, პრეზენტაციების, პრაქტიკული მეცადინეობისა და დასკვნითი გამოცდის ფორმატში იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. მეთოდების შერჩევა და გამოყენება ხდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ფარგლებში შესასრულებელი იმ დავალების მოცულობისა და სირთულის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას სწავლების პროცესში. ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას (ლექცია - ვიზუალური პრეზენტაცია - ვერბალური განმარტება - დისკუსია - დამოუკიდებელი დავალება (წიგნზე მუშაობა, ჩანაწერები) და სხვა. |
| შეფასება | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში |
| **სწავლის შედეგები** | |
| **ცოდნა და გაცნობიერება**<br>ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა იცის და აღწერს:<br>A_1. ჟურნალისტიკის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, მედიის ფუნქციებს, ეთიკურ კრიტერიუმებს და მიმოიხილავს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას. | |

**A_2**. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ძირითად არსს, წესებს, პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, **მათ შორის**:

თემის აქტუალობის განსაზღვრას, ინფორმაციის მოპოვებას, გადამოწმებას, ინფორმაციის სწორად ორგანიზებას, დამუშავებას, სხვადასხვა სახის მედია-ტექსტის შექმნას, წყაროებთან მუშაობას. შეიძენს სფეროში მუშაობისათვის საბაზისო პროფესიულ უნარ-ჩვევებს. კურსდამთავრებულს გააზრებული ექნება მედიის სოციალური პასუხისმგებლობა, ჟურნალისტის როლი და მნიშვნელობა ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში. ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში.

ტრადიციული მედია (პრესა, რადიო, ტელევიზია), მათი მუშაობის პრინციპებისა და თავისებურებების განსაზღვრა;

ახალი მედია (სოციალური მედია) და მისი როლი თანამედროვეობაში, მისი მუშაობის სპეციფიკა და თავისებურებები;

ონლაინ გამოცემები და მათი მუშაობის სპეციფიკა;

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, მუშაობის სპეციფიკა;

დარგობრივი ჟურნალისტიკის მუშაობის პრინციპები.

**A_3**. განსაზღვრავს მედიის ფუქნციებს, თავისებურებებს და საზოგადოებრივ ინტერესებს.

**უნარი**

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეუძლია:

**B_1**. ფოტო და ვიდეო კამერისა და აუდიო ჩამწერის გამოყენება;

**B_2**. კონკრეტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული საბაზისო ცოდნის და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება;

**B_3**. ახალი ამბების ჟურნალისტიკის თავისებურებების, ნიუსების ტექსტის მომზადება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. არის შედეგზე ორიენტირებული.

**B_4**. არგუმენტირებული მსჯელობის, განმარტების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; კრიტიკული აზროვნების უნარი; გაცნობიერებული აქვს ჟურნალისტის ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. გააზრებული ექნება მედიის სოციალური პასუხისმგებლობა, ჟურნალისტის როლი და მნიშვნელობა ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში.

**B_5**. პრაქტიკული დავალებების შესრულებისას (გაზეთის და ჟურნალის წარმოების, ტელე-რადიო გადაცემის/მასალების მომზადებისას და სხვ.) შეუძლია ჯგუფში და ინდივიდუალურად მუშაობა;

აქვს კითხვის სწორად დასმის და მოსმენის უნარი;

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ დონეზე კომუნიკაციისათვის.

**B_6**. ელექტრონული საბიბლიოთეკო და სხვა ძირითადი ჟურნალისტური საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საჭირო ინფორმაციის, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო მედიის წყაროების, ინოვაციური თეორიების, ცვლილებების, პრაქტიკული საქმიანობის, სამეცნიერო სიახლეების მოძიება და გარჩევა.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი

**C_1**. ცნობს ჟურნალისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას მოქმედებს ეთიკური და პროფესიული ქცევის ფარგლებში. პატივს სცემს სხვათა უფლებებს, პასუხის,გებლობებსა და მოვალეობებს სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით, რაც თავისთავად ეყრდნობა მედიაეთიკის პრინციპებს.

**C_2**. წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და იცავს გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპებს.

**C_3**. ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივი განახლების უნარს „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფეროები** | დასაქმების სფეროა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, პრესსამსახურები, პრესა, რადიო, ტელევიზია და ა.შ. |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება: | **საჯარო მმართველობა** |
| **დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები,<br>ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა უნივერსიტეტში |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | საჯარო მმართველობის ბაკალავრი (0413.1.3) |
| **პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა** | 240 ECTS კრედიტი.<br>სპეციალობის ძრითადი საგნები – 150 კრ; 20 კრედიტი საუნივერსიტეტო საგნები, 20 კრ. ინგლისური ენა, არჩვითი საგნები – 25 კრ; საბაკალავრო ნაშრომის შესრულება (არჩევითი) – 10 კრ; სასწავლო პრაქტიკა – 15 კრ. |
| **სწავლების გადასახადი** | სწავლება უფასოა |
| **საკონტაქტო პირი** | ბესიკ ბერიძე – პროფესორი<br>ტელ.: 591417888. ელფოსტა: besikberidze57@gmail.com |
| **პროგრამის მიზანი** | საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური, შემოქმედებითი, მაღალი მოქალაქეობრივი და ეთიკური ღირებულებებით აღჭურვილი პროფესიონალი საჯარო მოხელის სპეციალისტი. მისცეს მას ფართო ცოდნა საჯარო მმართველობისა და საჯარო სამართლის სფეროების ძირითადი პრინციპების შესახებ<br>გამოუმუშაოს სტუდენტს პროფესიული პასუხისმგებლობა და განუვითაროს ის უნარები, რომელებიც განაპირობებენ მის წარმატებულ სამსახურებრივ კარიერას, მატ შორის: პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის და ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარი; დემოკრატიული ფასეულობების, მოქალაქეობრივი ღირებულებების დაცვის უნარი; ცოდნის მუდმივად განახლების უნარი; |
| **სწავლის ფორმატი და მეთოდები** | პროგრამა ლექცია-სემინარების, ჯგუფში მუშობის, შუალედური გამოცდების, პრეზენტაციების და დასკვნითი გამოცდის ფორმატში იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. მეთოდების შერჩევა და გამოყენება ხდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ფარგლებში შესასრულებელი იმ დავალების მოცულობისა და სირთულის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას სწავლების პროცესში. ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას (ლექცია - ვიზუალური პრეზენტაცია - ვერბალური განმარტება - დისკუსია - დამოუკიდებელი დავალება (წიგნზე მუშაობა, ჩანაწერები) და სხვა. |
| **შეფასება** | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში |
| **სწავლის შედეგები** | |
| **ცოდნა და გაცნობიერება** | |
| ✓ აქვს სფეროს ფართო ცოდნა, შეუძლია თეორიებისა დაპრინციპების კრიტიკული გააზრება და სფეროს | |

კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.
- ✓ აქვს საჯარო სამრთლის, მენეჯმენტისა და მომიჯნავე დისციპლინების ძირითადი პრინციპების ფართო ცოდნა.
- ✓ გაცნობიერებული აქვს კონსტიტუციური, ადმინისტრაციული და მუნიციპალური სამართლის საფუძვლები. დეონტოლოგიის საკითხები საჯარო სამსახურში;
- ✓ საჯარო სამართლის პრინციპები და ინსტიტუტები, საქმის წარმოების არსი და მნიშვნელობა, საგადასახადო და საფინანსო სამართლის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები.
- ✓ გაცნობიერებული აქვს საზოგადოების თვისობრივი თავისებურებები, სოციალური პროცესის ლოგიკა, თანამედროვე სოციალური გარემო.
- ✓ გაცნობიერებული აქვს დიპლომატიის როლი პოლიტიკური კონფლიქტების მართვაში.
- ✓ დაუფლებულია პოლიტიკური ხელისუფლების სხვადასხვა თეორიებს. შესწავლილი აქვს ბოლო ათწლეულში ქართულ პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები.

**უნარი**
- ✓ გამომუშავებული აქვს ის უნარები, რომლებიც განაპირობებენ მის წარმატებულ სამსახურებრივ კარიერას.
- ✓ შეეძლება უცხო გარემოში ადაპტირება და შესაბამისი მოქმედება.
- ✓ შეულია პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებაში ჩართვა (წინასწარი მითითებების შესაბამისად). შეუძლია პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა.
- ✓ აქვს შესაბამისი პროცედურების დაცვითა და სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით მოქმედების უნარი.
- ✓ აქვს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი.
- ✓ შეუძლია ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ამოცანათა შესრულება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სპეციფიკის გათვალისწინებით.
- ✓ შეუძლია საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ამოცანათა შესრულება; საფინანსო დოკუმენტების შევსება, დამუშავება და წარდგენა შესაბამის ორგანოებში, სხვადასხვა საფინანსო ოპერაციების კანონიერად წარმართვა.
- ✓ შეუძლია საგადასახადო სისტემასთან სწორი და კანონიერი სამართლებრივი ურთიერთობების წარმართვა, საჯარო ორგანიზაციების და პერსონალის მართვა, ადამიანური რესურსების დაქირავებასთან, განვითარებასთან, კონფლიქტების მოგვარებასთან, ორგანიზაციის კრიზისიდან გამოყვანასთან დაკავშირებული ამოცანების შესარულება.
- ✓ შეუძლია პოლიტიკური თეორიების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ძირითადი მესიჯების ჩამოყალიბება და საზოგადოებისთვის მათი მიწოდება.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**
- ✓ არის მაღალი მოქალაქეობივი შეგნებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების მატარებელი, აცნობიერებს სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ეროვნული ღირებულებების მნიშვნელობას ეთიკური და პროფესიული ქცევის ფარგლებში.
- ✓ მოქმედებს - ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფეროები** | სპეციალობის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს, როგორც სახელმწიფო საჯარო, ასევე კერძო თუ არასამთავრობო დაწესებულებებში, ასევესამსახურებში, რომლებიც მოითხოვს შესაბამის კვალიფიკაციას. საბაკალავროსაგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება უპირატესობა იმუშაოს საჯარო დაწესებულებებში. ასევე, ექნება მზაობა სწავლის გაგრძელების მაგისტრატურაში. |

| პროგრამის სახელწოდება: | სამართალი |
| --- | --- |
| დაშვების წინაპირობა | ერთიანი ეროვნული გამოცდები,<br>ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა უნივერსიტეტში |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | სამართლის ბაკალავრი |
| პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა | 240 ECTS კრედიტი.<br>სპეციალობის ძრითადი საგნები – 150 კრედიტი, მათ შორის 10 კრ. სასწავლო პრაქტიკაა, ხოლო 10 კრ. – კვლევითი კომპონენტი; 20 კრედიტი საუნივერსიტეტო საგნები, 20 კრ. ინგლისური ენა, არჩვითი – 30 კრედიტი, ხოლო თავისუფალი – 20 კრ. |
| სწავლების გადასახადი | სწავლება უფასოა |
| საკონტაქტო პირი | ია შალამბერიძე. ტელ,: 555449292 ელფოსტა: iashalamberidze2@gmail.com |
| პროგრამის მიზანი | |

პროგრამის ძირითადი მიზანია მოამზადოს სტუდენტი იურისტის პროფესიაში შესვლისა და პროფესიული ნიშნით დასაქმებისათვის.

აღნიშნულის შესაბამისად პროგრამა მიზნად ისახავს:

**მისცეს სტუდენტს:**

- ➢ ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი დარგობრივი ცოდნა სამართალში, რომლის ფარგლებშიც იგი შესძლებს სამართლის ძირითადი არსისა და პრინციპების, სამართლებრივი სისტემების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების აღწერას.
- ➢ პროგრამით განსაზღვრული დარგობრივი სასწავლო კურსების ძირითადი თეორიების, წესების, პრინციპებისა და რეგულირების თავისებურებების შესახებ ცოდნა, რაც მოიცავს სამართლის ყველა ძირითად მიმართულებას.
- ➢ ცოდნა, რომლის საფუძველზეც სტუდენტი განსაზღვრავს სამართლებრივი დავის წარმოშობას, მის ძირითად მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი გადაწყვეტის გზებს.

**სტუდენტმა შესძლოს:**

- ➢ სამართლის სფეროს პრობლემების მიგნება და სტანდარტული მეთოდოლოგიის გამოყენებით განსაზღვროს მათი სათანადო გადაწყვეტის გზები;
- ➢ სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი, მათი შეფასება და სამართლებრივ დავაში საკუთარი პოზიციის დასაბუთება;
- ➢ სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტების, ასევე, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების შედგენა;
- ➢ დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, კანონმდებლობისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;
- ➢ სპეციალობის ფარგლებში ზეპირი და წერილობითი ფორმით მსჯელობა, მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ➢ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლის წყაროების, სამეცნიერო სიახლეების და სხვა საჭირო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება.

**სტუდენტმა:**

- ➢ გააცნობიეროს სამართლის სფეროს ეთიკური სტანდარტების საჭიროება და შესძლოს სამართლის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედება. პატივი სცეს ადამიანის უფლებებს;
- ➢ შესძლოს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვების განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა, დაიცვას ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპები;
- ➢ შესძლოს საკუთარ თავზე მუშაობა, თვითგანვითარება და ცოდნის მუდმივად განახლება.

| | |
| --- | --- |
| სწავლის ფორმატი და მეთოდები | პროგრამა ლექცია-სემინარების, ჯგუფში მუშობის, შუალედური გამოცდების, პრეზენტაციების, პრაქტიკისა და დასკვნითი გამოცდის ფორმატში იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. მეთოდების შერჩევა და გამოყენება |

| | |
|---|---|
| | ხდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ფარგლებში შესასრულებელი იმ დავალების მოცულობისა და სირთულის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას სწავლების პროცესში. ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას (ლექცია - ვიზუალური პრეზენტაცია - ვერბალური განმარტება - დისკუსია - დამოუკიდებელი დავალება, კასუხი, წიგნზე მუშაობა, ჩანაწერები და სხვა. |
| შეფასება | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში |

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება**

სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

A_1. აღწერს სამართლის არსს და სისტემას. სამართლის ნიშნებს, ფუნქციებს, განმარტების მეთოდებსა და სტადიებს. სამართლის ძირითად პრინციპებს. ქართული სამართლის თავისებურებებსა და მის ისტორიულ წყაროებს. **აქვს** ფართო ცოდნა ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული საფუძვლებისა და ტექსტური წყაროების, ქართული სამართლებრივი დარგების წარმოშობა-განვითარების. ისტორიის, ქართული სამართლის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხების შესახებ.

A_2. ამოიცნობს და განმარტავს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ძირითად არსს, წესებს, პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებსს, **მათ შორის**:

- სახელმწიფო ხელისუფლებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნის და ურთიერთმიმართების საკითხებს, კონსტიტუციური სამართალწარმოების თვისებურებებს, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ძირითადი საკითხებს, მათ შორის შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმების თავისებურებებს; სახელმწიფო მოწყობის ძირითადი პრინციპების და საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ინსტიტუტებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;
- კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის ზოგად ცნებებისა და პრინციპებს, სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, წყაროებს, სანივთო სამართლის სისტემას , სახელშეკრულებო, კანონისმიერ ვალდებულებით, საოჯახო მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, სამეწარმეო თავისუფლებისა და შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს, ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;
- სისხლის სამართლის პრინციპებს, დანაშაულის არსს და სახეებს, სასჯელის სისტემას, პასუხისმგებლობის თავისებურებებს; სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;
- საერთაშორისო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, შესაბამის ინსტიტუციებს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული

სამართლის თავსებადობას.

- იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკურ პრინციპებს, ზნეობრივ თავისებურებებს.

**A_3**. განსაზღვრავს სამართლებრივი დავის მიზეზებს, თავისებურებებს და მისი სამართლებრივი გადაწყვეტის მექანიზმებს.

**უნარი**

სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული :

B_1. ამოიცნობს სამართლის სფეროში არსებულ პრობლემებს.

B_2. აანალიზებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არსებულ პრობლემების სირთულეს, სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს, ასევე ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;

**B_3**. არჩევს, აანალიზებს და გამოიყენებს საჭირო მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მეთოდებს, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;

**B_4**. შეიმუშავებს სამართლებრივი ნორმებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, ასევე საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროში საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების, კერძოსამართლებრივი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტებს.

B_5. იცავს სპეციალისტთა თუ არასპეციალისტთა წრეში საკუთარი იდეების და არსებული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის გზებს და მეთოდებს, შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

B_6. მოიძიებს და გაარჩევს ელექტრონული საბიბლიოთეკო და სხვა ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საჭირო ინფორმაციას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების შესახებ.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

სამართლის პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

C_1. ცნობს და იცავს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს ეთიკური და პროფესიული ქცევის ფარგლებში - ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით;.

C_2. წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და იცავს გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპებს.

C_3. ავლენს, საკუთარი ცოდნის მუდმივი განახლების უნარს, მოიძიებს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით

| | |
|---|---|
ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა:

**A_1**. იცის: ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორია; ქართული ლიტერატურის ჟანრები, ქრესტომათიული ტექსტები და მათი ავტორების ბიოგრაფიები;

**A_2**. აცნობიერებს ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის დანიშნულებასა და მნიშვნელობას; აანალიზებს ქართული ლიტერატურის კომპლექსური საკითხების მიმართებებს ლიტერატურის თეორიის ძირითად პრობლემებთან; განსაზღვრავს ქართული ლიტერატურის ადგილსა და როლს ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში.

**A_3**. იცნობს მიმდინარე ლიტერატურული პროცესებსა და მისი განვითარების ტენდენციებს, ასევე ლიტერატურის შემსწავლელ კრიტიკულ სკოლებსა და მეთოდებს;

**უნარი**

ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული :

B_1. შესძლებს: ლიტერატურული ნაწარმოებების სიღრმისეულ ანალიზსა და კრიტიკულ შეფასებას; ფილოლოგიური ცნებებით ოპერირებას; თხზულების ან პრობლემის განხილვას ისტორიულ და კულტურულ ჭრილში, კომენტირება-ინტერპრეტირებას;

B_2. შესძლებს: ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავებას, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას; ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენებას; ლიტერატურული ტექსტების აღწერასა და ინტერპრეტაციას. შეუძლია ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება.

**B_3** შეუძლია ქართული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის, ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი მონაცემების მოპოვება და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება; ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად არგუმენტირება; ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების გაკეთება; ექნება პრობლემების ამოცნობისა და მათი გადაჭრის უნარი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის გამოყენებით.

**B_4**.დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა;

B_5.სწავლებისა და კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების, ქართულ ფილოლოგიასა და ზოგადად ფილოლოგიურ მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენება.

**B_6**.შესწევს დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარი; სასწავლო მიზნით დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი; სწავლისას გამოკვეთილი ინტერესების მიხედვით

| | |
|---|---|
| განივითაროს შემდგომში მეცნიერული მუშაობისა თუ დასაქმების მიმართულების განსაზღვრის უნარი.<br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>C_1. კურსდამთავრებული ერკვევა და იცნობს: ეთიკის ნორმებს; აკადემიური პატიოსნების რაობას; ზრუნავს საქართველოში ქართული ლიტერატურის მნიშვნელობისა და სიწმინდის დაცვისათვის; პატივს სცემს ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მაღალ იდეებს, შეუძლია სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ეროვნული, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრება და პატივისცემა. ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, ტრადიციებსა და ფასეულობებს;<br>C_2. კურსდამთავრებულს აქვს ლიტერატურის შესწავლისათვის დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა; ტოლერანტობისა და ინტელექტუალური საკითრების, პიროვნების თავისუფლებისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა. ამ ღირებულებების საზოგადოებაში დამკვიდრება.აღიარებს უწყვეტი პროფესიული განათლების აუცილებლობას. აფასებს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულობას და მრავალმხრივობას. | |
| **დასაქმების სფეროები** | კურსდამთავრებულს, როგორც ქართული ფილოლოგიის პრობლემების მცოდნე სპეციალისტს შეეძლება იმუშაოს: მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე – უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის (და ლიტერატურის) მასწავლებლად (განათლების მიმართულებით სათანადო დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ); საგამომცემლო ორგანიზაციებში; სახელისუფლებო და კერძო ორგანიზაციის სტრუქტურებში; ქართული ენის სტილისტ-რედაქტორის თანამდებობაზე გამომცემლობაში, რედაქციასა და სხვა მსგავს დაწესებულებაში.<br>პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე. |

| პროგრამის სახელწოდება: | ქართველური ენათმეცნიერება |
|---|---|
| დაშვების წინაპირობა | საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი |
| პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა | 120 ECTS კრედიტი.<br>ძირითადი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 90 კრედიტს, სადაც 10 კრ. არჩევითი დისციპლინებია. ხოლო 30 კრ. სამაგისტრო ნაშრომს ეთმობა |
| სწავლების გადასახადი | სწავლება უფასოა |
| საკონტაქტო პირი | პროფესორი ელზა ფუტკარაძე<br>ტელ,: 593180196 ელფოსტა: Futkaradze.elza@mail.ru |
| პროგრამის მიზანი | ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ქართული ენის კვალიფიციური სპეციალისტები. კერძოდ, მაგისტრანტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა:<br>ქართული სალიტერატურო ენის ფონეტიკის, მორგოლოგიის, სინტაქსის აქტუალური საკითხების შესახებ;<br>ქართული სალიტერატურო ენის დიალექტების ფონეტიკურ-მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებების შესახებ;<br>ქართული ენის სხვადასხვა დარგთა პრობლემური და აქტუალური საკითხების შესახებ.<br>**მაგისტრანტმა შეძლოს:**<br>ქართული სალიტერატურო ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ თავისებურაბათა გამოკვეთა და მათი კრიტიკული ანალიზი, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და წარდგენა აკადემიური საზოგადოების წინაშე;<br>ქართული სალიტერატურო ენის კილოთა სპეციფიკურობა-თავისებურებათა შეფასება-ანალიზი(ან განსაზღვრა), დიალექტოლოგიურ ტექსტებზე მუშაობა;<br>ქართული ლექსიკოლოგიისა და ონომასტიკის სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების განსაზღვრა, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ენათმეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.<br>**მაგისტრანტმა გაითავისოს პასუხისმგებლობა:**<br>ქართული ენის ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების შესახებ, წვლილი შეიტანოს ენათმეცნიერების დარგის განვითარებაში, დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი სწავლა და დაიცვას პროფესიული აკადემიური ეთიკა. |
| შეფასება | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ |

<table>
<tr><td></td><td>არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში</td></tr>
<tr><td colspan="2">სწავლის შედეგები</td></tr>
<tr><td colspan="2">
ცოდნა და გაცნობიერება<br>
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ღრმად და სისტემურად ეცოდინება:<br>
A-1 ქართული ენის ფონემატური საკითხები, სახელის თავისებურება ქართულში, სახელის ფუძის დერივაციული მოდელი, ბრუნვათა ფუნქციები, ზმნური კატეგორიები, ზმნურ კატეგორიათა ფორმირებისა და წარმოების საკითხები, ზმნურ ფორმათა წარმოების ყალიბი, ზმნის კონსტრუქციები, ქართული ენის წინადადების სტრუქტურა, თავისებურება, შესიტყვების აგებულება და შედგენილობის საკითხები;<br>
A -2 ქართული ენის დიალექტების გრამატიკული თავისებურებანი, ისტორიული დიალექტოლოგიის ძირითადი საკითხები;<br>
A -3 სახელზმნის მოდელის ცვლის მექანიზმი ისტორიული თვალსაზრისით, ონიმთა წარმოქმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი, ლექსიკოლოგიის საკვანძო საკითხები, ქართული ენათმეცნიერების ცალკეული პრობლემები, ამ პრობლემათა გადაჭრის გზები.<br>
უნარი<br>
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს:<br>
B-1 ქართული ენის ფონემატურ, სახელურ და ზმნურ კატეგორიათა, წინადადების სტრუქტურა - მექანიზმის თავისებურებათა ანალიზს, შეფასებას, ენათმეცნიერული ფაქტების ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირებას, კრიტიკულ ხედვას, კვლევის შედეგების განზოგადებასა და წარდგენას აკადემიური საზოგადოებისათვის;<br>
B-2 ქართული ენის დიალექტთა ძირითადი და საკვანძო საკითხების კლასიფიკაციას, პრობლემების გადაწყვეტის გზების განსაზღვრა-მოძიებასა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ენათმეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;<br>
B-3 ქართული ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგთა პრობლემური საკითხების დიფერენცირებას, მათ კრიტიკულ ანალიზს, საკამათო საკითხებზე დისკუსიას თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით, საკუთარი შეხედულების(თვალსაზრისის) ნათლად, აკადემიურად წარმოდგენას.<br>
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა<br>
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი:<br>
C-1 აცნობიერებს ქართული ენის ეროვნულ და საერთაშორისო ღირებულებას,<br>
C-2. მოქმედებს პროფესიული ეთიკის დაცვით, შეუძლია სხვისი აზრის შეფასება და პატივისცემა; იცავს გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპებს;<br>
C-3 აქვს შეძენილი ცოდნის განახლება-გაღრმავების, დამოუკიდებელი მუშაობისა და სტრატეგიული დაგეგმვის უნარი.
</td></tr>
<tr><td>დასაქმების სფეროები</td><td>
სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც ძირითადი ენათმეცნიერული პრობლემების მცოდნე სპეციალისტს (რომელმაც კარგად იცის ქართული სამწიგნობრო ენის, ქართველური კილოების ძირითადი თავისებურებანი), შეეძლება იმუშაოს:<br>
• უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე;<br>
• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის (და ლიტერატურის) მასწავლებლად,(განათლების მიმართულებით სათანადო დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ);<br>
• საგამომცემლო ორგანიზაციებში;<br>
• სახელისუფლებო და კერძო ორგანიზაციის სტრუქტურებში;<br>
• ქართული ენის სტილისტ-რედაქტორის თანამდებობაზე გამომცემლობაში, რედაქციასა და სხვა მსგავს დაწესებულებაში.
</td></tr>
</table>

| პროგრამის სახელწოდება | ხელოვნებათმცოდნეობა |
|---|---|
| დაშვების წინაპირობა | საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი |
| პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა | 120 ECTS კრედიტი.<br>მათ შორის სპეციალობის ძრითადი საგნები – 60 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი საგნები - 30 კრ. და სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი. |
| სწავლების გადასახადი | სწავლება უფასოა |
| საკონტაქტო პირი | ნონა შუშანიძე – პროფესორი<br>ტელ.: 577254017 ელფოსტა: shushanidze-nino@mail.ru |
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ისტორიაში, გააცნობიეროს შუა საუკუნეების ხელოვნების საღვთისმეტყველო საფუძვლები, სახვითი ენის თავისებურებებსა და სტილის საკითხებში. გამოუმუშავოს მას ხელოვნების ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზის, ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში გააზრების უნარი. პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს კვალიფიციური ცოდნა და მოამზადოს მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის ჩატარებას შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. |
| შეფასება | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში |

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება**

ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა:

A-1. შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურული ტიპების, სახვითი ხელოვნების სტილისტური ნიშნების, კედლის მხატვრობის ადგილობრივი სკოლების, პლასტიკური დარგების იდეურ-სტილისტური გადაწყვეტის, მინიატიურის არსისა და დანიშნულების შესახებ.

A-2. შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ძირითადი სახეების – საკულტო, საფორტიფიკაციო და საერო არქიტექტურის ნიმუშების შესახებ და შეუძლია მათი ისტორიულ-მხატვრული ანალიზი; მათი თვითმყოფადობისა და ინდივიდუალობის შეცნობა ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებთან და განსაკუთრებით ბიზანტიურ ხელოვნებასთან მიმართებაში; აცნობიერებს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის, არქიტექტურული ნიმუშების კვლევის პრობლემატიკას.

A-3 შუა საუკუნეების ქართული და ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშების მაგალითზე იკონოგრაფიული

| | |
|---|---|
| სქემების გენეზისისა და განვითარების საკითხების შესახებ, შეუძლია საღვთისმეტყველო ტექსტების საფუძველზე შემუშავებული იკონოგრაფიული რედაქციების ანალიზი და მათი იდეურ-სიმბოლური მნიშვნელობის განსაზღვრა ქართულ და აღმოსავლეთ ქრისტიანულ ხელოვნებაში.<br>A-4 ძველი და ახალი აღქმის, მსოფლიოს და საქართველოს ეკლესიის ისტორიის, მსოფლიო საეკლესიო კრებებისა და დოგმატური ღმრთისმეტყველების მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ და შეუძლია ცოდნის რაციონალური გამოყენება შუა საუკუნეების ხელოვნებათმცოდნეობაში არსებული აქტუალური პრობლემების შესწავლისას.<br><br>**უნარი**<br>ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:<br>B_1. ხელოვნების ისტორიის კონკრეტული ეპოქის პრობლემის გამოკვეთა და მისი შეფასება. ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორიის შესახებ მასალების შეგროვების, დასაბუთებული განმარტების უნარი.<br>B_2. სახელოვნებო თეორიული კვლევების კრიტიკული ანალიზით საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით. აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით საჯარო გამოსვლების, სამეცნიერო ნაშრომის შექმნის და პრეზენტაციის წარმართვის უნარი.<br>B_3. სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებით საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება, დროის ეფექტურად გამოყენება. აქვს ხელოვნების ისტორიის პრობლემათა გააზრების, რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, შეფასების და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.<br><br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი შესძლებს<br>C_1. სახელოვნებო მიმართულებით სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე ხელშეწყობას, გუნდური მუშაობის გზით.<br>C_2. არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვასა და ადაპტირებას ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით.<br>C _3. საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას. | |
| **დასაქმების სფეროები** | კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მუშაობა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, სახელოვნებო დაწესებულებებსა და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, სახელმწიფო და კერძო გალერეებში, მუზეუმებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ხელოვნებისა და კულტურის ცენტრებში, ტელე–რადიო და ბეჭდვითი მედიაში ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით. |

| პროგრამის სახელწოდება: | ჟურნალისტიკა |
|---|---|
| **დაშვების წინაპირობა** | საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ჟურნალისტიკის მაგისტრი |
| **პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა** | სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 *ECTS* კრედიტს, სადაც 50 კრედიტი ეთმობა ძირითად სასწავლო კურსებს, 30 კრედიტი არჩევით დისციპლინებს, 30 კრედიტი ეთმობა სტუდენტის კვლევით საქმიანობას (სამაგისტრო ნაშრომის მომზადება) და 10 კრედიტი - საწარმოო პრაქტიკას. |
| **სწავლების გადასახადი** | სწავლება უფასოა |
| **საკონტაქტო პირი** | ნესტან მამუჩაძე – პროფესორი<br>ტელ.: 591988764 ელფოსტა: mamuchadzenestan@gmail.com |
| **პროგრამის მიზანი** | პროგრამის მიზანია ჟურნალისტიკის სფეროში ღრმად ინფორმირებული, ჟურნალისტიკის არსისა და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი გლობალური თუ კონკრეტული საკითხების სრულყოფილი სახით დამუშავებასა და მიწოდებაში, კვლევის, ანალიზის, აღქმის, გადმოცემის, დამოუკიდებლი აზროვნების უნარის მქონე და ინტელექტუალურად განვითარებული ჟურნალისტიკის მაგისტრის მომზადება |
| **შეფასება** | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში |

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება**

ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული აღწერს:

A_1. მაგისტრმა ღრმად და საფუძვლიანად იცის ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო ჟურნალისტიკის პრობლემატიკა, ფლობს თანამედროვე ქართული მედიის კრიტიკული ანალიზის უნარს, მასობრივი კომუნიკაციის პრობლემებს, პიარისა და ეთიკის ურთიერთმიმართებას, პრესისა და თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს, ჟურნალისტიკის ფილოსოფიას, მედიის კვლევის მეთოდებს, თანამედროვე მედიისა და ინტერნეტსივრცის თავისებურებებს, ტელე-რადიო გადაცემათა მომზადების საფუძვლებს.

A_2. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ძირითად არსს, წესებს, პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, **მათ შორის**:

ეროვნული და საერთაშორისო მედია სისტემების, მათი ფუნქციონირების მექანიზმების და ინსტიტუციური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ისტორიული კონტექსტები.

A_3. სხვადასხვა სახის მედია ორგანიზაციის გაზეთის, რადიოს, ტელევიზიისა, და ინტერნეტ-

| | |
|---|---|
| გამოცემების მუშაობის სპეციფიკა;<br>ჟურნალისტური პრაქტიკის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმები.<br>**A_4.** იცნობს იმ კანონებს, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ არეგულირებენ მედიის საქმიანობას საქართველოში, განმარტავს და იყენებს პრაქტიკაში.<br><br>**უნარი**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შესძლებს:<br>**B_1**. ფოტო და ვიდეო კამერისა და აუდიო ჩამწერის გამოყენება;<br>**B_2**. კონკრეტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული საბაზისო ცოდნის და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება;<br>**B_3**. ახალი ამბების ჟურნალისტიკის თავისებურებების, ნიუსების ტექსტის მომზადება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. არის შედეგზე ორიენტირებული.<br>**B_4**. არგუმენტირებული მსჯელობის, განმარტების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;<br>კრიტიკული აზროვნების უნარი; გაცნობიერებული აქვს ჟურნალისტის ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. გააზრებული ექნება მედიის სოციალური პასუხისმგებლობა, ჟურნალისტის როლი და მნიშვნელობა ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში.<br>**B_5**. პრაქტიკული დავალებების შესრულებისას (გაზეთის და ჟურნალის წარმოების, ტელე-რადიო გადაცემის/მასალების მომზადებისას და სხვ.) შეუძლია ჯგუფში და ინდივიდუალურად მუშაობა;<br>აქვს კითხვის სწორად დასმის და მოსმენის უნარი;<br>საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ დონეზე კომუნიკაციისათვის.<br>**B_6**. ელექტრონული საბიბლიოთეკო და სხვა ძირითადი ჟურნალისტური საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საჭირო ინფორმაციის, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო მედიის წყაროების, ინოვაციური თეორიების, ცვლილებების, პრაქტიკული საქმიანობის, სამეცნიერო სიახლეების მოძიება და გარჩევა.<br><br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი<br>**C_1**. ცნობს ჟურნალისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას მოქმედებს ეთიკური და პროფესიული ქცევის ფარგლებში. პატივს სცემს სხვათა უფლებებს, პასუხის,გებლობებსა და მოვალეობებს სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით, რაც თავისთავად ეყრდნობა მედიაეთიკის პრინციპებს.<br>**C_2**. წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და იცავს გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპებს.<br>**C_3**. ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივი განახლების უნარს „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის" პრინციპის დაცვით. | |
| **დასაქმების სფეროები** | ჟურნალისტიკის მაგისტრთა პროფესიული მოღვაწეობის სფეროა მასობრივი ინფორმაცია, რომელიც მასმედიის სხვადასხვა არხების საშუალებით მიეწოდება ნაირგვარ აუდიტორიასა და ჯგუფებს, აგრეთვე სამეცნიერო ინფორმაცია, რომელიც დამყარებულია მასმედიისა და სხვა კომუნიკაციის საშუალებების ფუნქციონირების ანალიზზე. აქედან გამონდინარე, მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმების ობიექტებია:<br>1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიომაუწყებლობა, საინფორმაციო სააგენტოები, ინტერნეტგამოცემები და სხვა)<br>2. საინფორმაციო–კომუნიკაციური სფეროები(გამომცემლობა, პრეს–სამსახურები, სარეკლამო და პიარ–სააგენტოები, საზოგადოებასთან ურთიერთობა). |

| | |
|---|---|
| | ჟურნალისტიკის მაგისტრის პროფესიული მოღვაწეობის სახეებია:<br>1. პროფესიული–საავტორო ჟურნალისტური მოღვაწეობა(ტელე და რადიოგადაცემების წამყვანი, საავტორო გადაცემების ავტორი და წამყვანი, მიმომხილველი, კომენტატორი, ანალიტიკოსი, მასმედიის დიზაინერი, მედიაკრიტიკოსი და ა.შ)<br>2. საპროექტო–ანალიტიკური მოღვაწეობა (ანალიტიკოსი, მედიაპროექტის შემქნელი, რედაქციის მენეჯერი)<br>3. ორგანიზაციულ–მმართველობითი მოღვაწეობა(მთავარი რედაქტორი, პროდიუსერი, მედიამენეჯერი)<br>4. პროფესიასთან ახლოს მყოფი შემოქმედებითი სფეროები (მედიასოციოლოგი, მედიამარკეტოლოგი, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სამსახურის თანამშრომელი) |

| პროგრამის სახელწოდება: | საჯარო მმართველობა |
|---|---|
| დაშვების წინაპირობა | საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | საჯარო მმართველობის მაგისტრი |
| პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა | 120 ECTS კრედიტი.<br>სპეციალობის ძირითადი დისციპლინები მოიცავს – 70 კრედიტს, არჩევით სასწავლოკურსებს 5 კრ. ეთმობა. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტიდან 5კრ. ეთმობა კვლევის პროსპექტუსს; 10 კრ. ექსპერიმენტული კვლევაა, ხოლო 30 კრ. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას ეთმობა. |
| სწავლების გადასახადი | სწავლება უფასოა |
| საკონტაქტო პირი | ბესიკ ბერიძე – პროფესორი<br>ტელ.: 591417888. ელფოსტა: besikberidze57@gmail.com |
| პროგრამის მიზანი | სამაგისტრო პროგრამის მიზანია მომაზადოს საჯარო მოხელის მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებსაც საშუალება ექნებათ დასაქმდნენ საჯარო სამსახურში, ასევე მმართველობითი სფეროს სხვა რგოლებში. პროგრამა ორიენტირებულია ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს სტუდენტს საჯარო მართვის თეორია, პრაქტიკა, შესწავლოს დარგის თანამედროვე მიღწევები და საშუალება მისცეს მათ ძირფესვიანად გაეცნონ და აითვისონ სხვადასხვა მმართველობითი დონისათვის დამახასიათებელი სისტემები. |
| შეფასება | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში |

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება**

A_1. აქვს საჯარო მმართველობის სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნა;
A_2. იცნობს სტრატეგიული და მიმდინარე დაგეგმვის პრინციპებს;
A_3. იცნობს საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ თეორიულ და პრაქტიკულ მიღწევებს;
A_4. აცნობიერებს დარგის თანამედროვე პრობლემებსა და გამოწვევები, იცნობს ამ პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების მიგნების მეთოდებს.

**უნარი**

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს შეუძლია:
B_1. დამოუკიდებელი კვლევის საშუალები .საჯარო სისტემის მახასიათებლების ანალიზი;
B_2. უცხო გარემოში სწორი ორიენტირება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების შემუშავების უნარი.

<table>
<tr><td colspan="2">B_3. ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი,<br>B_4. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი.<br>B_5. შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება ახალი, ორიგინალური იდეებისა და წინადადებების გენერირებისათვის.<br><br>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა<br>პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:<br>C_1. ცნობს და იცავს საჯარო მოხელის ეთიკურ სტანდარტებს, მოქმედებს ეთიკური და პროფესიული ქცევის ფარგლებში - ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.<br>C_2. წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და იცავს გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპებს. ავლენს, საკუთარი ცოდნის მუდმივი და მიზანმიმართული განახლების შესაძლებლობას.</td></tr>
<tr><td>დასაქმების სფეროები</td><td>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნით კურსდამთავრე-ბულს შეეძლება წარმატებული მუშაობა და კარიერული ზრდა;<br>• სახელისუფლო სტრუქტურებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში;<br>• ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის დაწესებულებებში;<br>• საკუთრების ნებისმიერი ფორმის ორგანიზაციაში მმართველობით თანამდებობებზე;<br>• საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებში.<br>• კვლევის წარმოება მართვისა და მენეჯმენტის სფეროში.</td></tr>
</table>

| პროგრამის სახელწოდება: | ბიზნესის ადმინისტრირება |
| --- | --- |
| დაშვების წინაპირობა | საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა | 120 ECTS კრედიტი.<br>სპეციალობის ძირითადი დისციპლინები მოიცავს – 70 კრედიტს, არჩევით სასწავლო კურსები 15 კრ. მოიცავს; 5 კრ. პროფესიულ პრაქტიკაა, ხოლო 30 კრ. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას ეთმობა. |
| სწავლების გადასახადი | სწავლება უფასოა |
| საკონტაქტო პირი | სონია ჩეჩელაშვილი. ტელ.: 593129557 ელფოსტა: biababeibi@mail.ru |

**პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბიზნესისა და ფინანსების მართვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც:

- შესძლებენ ფინანსური რესურსების მართვის საფუძვლების სიღრმისეულ გაგებას, ფინანსური სისტემის თავისებურებებისა და ფინანსური ბაზრების თეორიის საკითხების ათვისება-განმტკიცებას; წარმოების რისკების მართვას; ფინანსური შუამავლების დანიშნულების გაგებას, როგორც ფინანსური სისტემის ერთ-ერთი რგოლის; კაპიტალის ფასისა და კაპიტალის სტრუქტურის მართვას; სახელმწიფო და მსოფლიო ფინანსების დანიშნულების აღქმა-განმტკიცებას, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილის და მის მართვას; გაიღრმავებენ ფინანსური მენეჯმენტის როლის მნიშვნელობას ფინანსური რესურსების მართვაში; ფინანსური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას და ფინანსური სისტემის რეგულირებას; გაიღრმავებენ ცოდნას ფინანსების როლის შესახებ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში.
- შესძლებენ სავალუტო ბირჟების მუშაობის თავისებურებებისა და რისკების მართვას სადილინგო ოპერაციებში; საერთაშორისო ანგარიშსწორებას საკრედიტო და სადებეტო ბარათების მეშვეობით; საერთაშორისო-სავალუტო ბაზრის მართვა; საერთაშორისო-სავალუტო ვაჭრობა და ანგარისშწორება; სავალუტო კ ურსის ფორმირების და მართვის ტრადიციული მაკროეკონომიკური მეთოდების ათვისება. საპროცენტო განაკვეთებზე მოქმედი ფაქტორები საფინანსო კრიზისის ფონზე; მსოფლიოს წამყვანი საკრედიტო ბაზრების მუშაობის თავისებურებანი და ბანკთაშორის საკრედიტო ბაზარი; საბანკო რეგულირება, საერთაშორისო საბანკო ურთიერთობები და ინტეგრირება, მსოფლიო საფინანსო ბაზრის ტენდენციები და საქართველო;მსოფლიო საფონდო ინდექსები და რეიტინგები.
- აითვისონ ინვესტიციების კვლევის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები; საინვესტიციო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა; საინვესტიციო პროექტის არსი და მისი ანალიზი; საინვესტიციო პროექტების ფულადი ნაკადების ანალიზი და შეფასება; ბიზნეს–გეგმის შედგენის მიზნები და მეთოდიკა; ბიზნეს–გეგმა და მისი როლი ინვესტიციური პროექტების დასაბუთებაში; საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის ანალიზი და შეფასება.
- შეძლონ სხვადასხვა ქვეყანაში საბანკო დაწესებულებების დაფუძნებისა და ფუნქციონირების თავისებურების შეცნობა; საბანკო დაწესებულებების რეორგანიზაციის, შერწყმა/გაერთიანების, სანაციისა და ლიკვიდაციის პროცესების ზედამხედველობა-რეგულირების მექანიზმების გამოყენება; საბანკო საქმიანობაზე მოქმედი რისკების გამოვლენის,შეფასების, პრევენციისა და მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება; სახელმწიფო-საფინანსო მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციონირების სპეციფიკა და რეგულირების უახლესი მეთოდების ათვისება; საერთაშორისო საზედამხედველო მოთხოვნების, ნორმატივების, ლიმიტების გაცნობა - გათავისება და შესაბამისი კოეფიციენტების გამოთვლა.
- გადასახადების და დაბეგვრის თეორიული საფუძვლების ცოდნის გაღრმავება; საგადასახადო და

საბაჟო პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის გაცნობიერება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოში; დაბეგვრის პრინციპების, პრაქტიკისა და ინსტრუმენტების გამოყენება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო სისტემების ფუნქციონირების პირობებში ; დაბეგვრის გავლენის შეფასება ფირმების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე; გადასახადის გადამხდელების საგადასახადო ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების გამოკვეთა -შესრულება .

- შეძლებენ კორპორაციული მართვის პრინციპების გამოყენებას საბანკო დაწესებულებებში; შეისწავლიან შიდა კორპორაციულ დოკუმენტებს; კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურობას და ფუნქციების გამიჯვნას სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს შორის კომერციულ ბანკში; გაიღრმავებენ ცოდნას დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტისა და მისი ფუნქციების შესახებ ბანკში; გაეცნობიან კორპორაციული მდივნის როლს და უფლებამოსილებებს ბანკში; აქციონერთა და დაინტერესებულ მხარეთა უფლებებს საბანკო დაწესებულებაში; გაიღრმავებენ ცოდნას ინფორმაციის გახსნილობისა და გამჭირვალეობის მნიშვნელობის შესახებ ბანკებში. შეძლებენ თანამედროვე საბანკო სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემების გამოვლენას, ანალიზსა და შეფასებას თანამედროვე ხერხებითა და მეთოდებით, აითვისებენ ამ მხრივ ტექნიკა და ტექნოლოგიების გამოყენებას; ბანკების ბიზნეს-პროცესების რეორგანიზაციის განხორციელების თანამედროვე მექანიზმების განხორციელებას; ბანკების საქმიანობის ოპტიმალური და მაქსიმალურად ეფექტიანი მოდელის აგებას.
- შეძლებენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებების სისტემურ აღწერას; თანამედროვე ეპოქაში ფასიანი ქაღალდების მიმართ წაყენებული ფუნდამენტური მოთხოვნების ფორმულირებას; ფასიანი ქაღალდების განთავსების წესების აღწერას; ფულადი ბაზრის, კაპიტალის ბაზრისა და სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტების დეტალურ დახასიათებას; ფულადი ბაზრის, მათი განვითარების კანონზომიერების ჩამოყალიბებას; ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შესწავლას; საფინანსო შუამავლების ტიპებისა და მათი ფუნქციების განსაზღვრას;ფასიანი ქაღალდების ბაზრის მართვისა და ზედამხედველობის სისტემების აღწერას.
- შეძლებენ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების შედგენას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ანგარიშგების მონაცემების გაანალიზებას,მათი მონაცემების საფუძველზე ფინანსური კოეფიციენტების გამოთვლას და შედეგებზე დაყრდნობით მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას; გაითავისებენ ფინანსური ანგარიშგებას, როგორც რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვან საშუალებას;

| | |
|---|---|
| **შეფასება** | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E- საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში |

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება**

ბიზნესადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

**A_1.** აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო საფინანსო სისტემის რგოლების, გლობალიზაციის კონტექსტში საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ფუნქციონირების წესების, საერთაშორისო დაბეგვრისა და საერთაშორისო ფინანსების მართვის სპეციფიკის შესახებ; ცოდნა ფინანსური კრიზისების პირობებში საბანკო რეგულირების თეორიისა და პრაქტიკის შესახებ; საწარმოთა ფინანსების მართვაში წარმოქმნილი რისკების მართვის, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდებისა და მოდელების შესახებ;

**A_2.** აქვს სიღრმისეული თეორიული ცოდნა ფინანსური ბაზრის მონაწილე ეკონომიკურ სუბიექტებს

შორის ეფექტიანი ურთიერთკავშირის ჩამოსაყალიბებლად არსებული ვითარების ანალიზის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის;

**A_3.** შეუძლია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებების სისტემური აღწერა; თანამედროვე ეპოქაში ფასიანი ქაღალდების მიმართ წაყენებული ფუნდამენტური მოთხოვნების ფორმულირება; ფასიანი ქაღალდების განთავსების წესების აღწერა; ფულადი ბაზრის, კაპიტალის ბაზრისა და სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტების დეტალური დახასიათება; ფულადი ბაზრის, მათი განვითარების კანონზომიერების ჩამოყალიბება; ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შესწავლა; საფინანსო შუამავლების ტიპებისა და მათი ფუნქციების განსაზღვრა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის მართვა და ზედამხედველობის სისტემების აღწერა.

**უნარი**

ბიზნესის ადმისნისტრირების პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს:

**B_1.** შეუძლია საბანკო სისტემაში არსებული პოსტკრიზისული პერიოდების შეფასება; საფინანსო - საბანკო სფეროსათვის დამახასიათებელი სისტემური და არასისტემური, საკრედიტო, ქვეყნის, საბაზრო და ა.შ რისკების ფინანსური შედეგების შეფასება, მართვის ოპტიმალური მეთოდების შერჩევა, საფინანსო და ეკონომიკური ბიზნეს-პროცესების მართვაში მათემატიკური მოდელების გამოყენება;

**B_2.** შეუძლია კორპორაციული მართვის პრინციპების გამოყენება საბანკო დაწესებულებებში; იყენებს შიდა კორპორაციულ დოკუმენტებს; . შეუძლია თანამედროვე საბანკო სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემების გამოვლენა, ანალიზი და შეფასება თანამედროვე ხერხებითა და მეთოდებით, ფლობენ ამ მხრივ ტექნიკა და ტექნოლოგიების გამოყენებას; ბანკების ბიზნეს-პროცესების რეორგანიზაციის განხორციელების თანამედროვე მექანიზმებსა და ბანკების საქმიანობის ოპტიმალური და მაქსიმალურად ეფექტიანი მოდელის აგების ხერხებს.

**B_3.** შეუძლია ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზი. პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების განხორციელების პროცესში მონაწილეობა; ბიზნესის ინოვაციური ფაქტორების, სტრატეგიული მენეჯმენტის და მარკეტინგის კონცეფციების, ბიზნესის დაგეგმვის პრინციპების, მარკეტინგული კომუნიკაციების და ტექნოლოგიების გამოყენება;

**B_4.** შეუძლია საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოთა ფინანსური მართვის სტრატეგიული ასპექტების გააზრება, ანგარიშგებათა კომპლექსურ–დეტალური ანალიზი, პროგნოზირება და ფინანსური მდგომარეობის სტრატეგიული დონის კონტროლი; არსებული ფინანსური კრიზისისა და მისი გამომწვევი რისკფაქტორების იდენტიფიცირება ქვეყანაში; შეუძლია ბიზნეს პროცესების ანალიზი და დაგეგმვისათვის მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენება.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

ბიზნესის ადმინსტრირების პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები:

**C_1.** ფინანსების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული, როგორც ლიდერი, პასუხისმგებელია და ავტონომიურად ქმნის ფინანსების მართვის სისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურას, აყალიბებს ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ კულტურას, სახავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს გადასაჭრელად;

**C_2.** შეუძლია საკუთარი და სხვისი მუშაობის შედეგების ობიექტური შეფასება, რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება, საკუთარი მაგალითით თანამშრომლების დადებითი ენერგიით დამუხტვა, დადებითი მიზნების მოტივირება და სტიმულირება;

**C_3.** ფლობს სრულ ინფორმაციას და არის თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებაში, ფსიქოლოგიურად არის მომზადებული სწრაფად ცვალებად გარემოში მუშაობისათვის; ორიენტირებულია პროცესზე, დინამიკურ და მოულოდნელ სიტუაციებში იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს და მინიმუმამდე დაჰყავს განუსაზღვრელობის რისკი.

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფეროები** | სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, ასევე, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში, სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციაში, წარმატებით გაუძღვეს პროფესიული სწავლების ჯგუფებს როგორც ზოგად სავალდებულო, |

| | |
|---|---|
| | ისე სავალდებულო პროფესიული დისციპლინების სწავლებას.<br>მაგისტრს შეუძლია იმუშაოს ეროვნული მეურნეობის საფინანსო-საკრედიტო-საგადასახადო–სადაზღვევო სისტემის ყველა რგოლში, სახელმწიფო-კომერციულ და კერძო-კომერციულ ბანკში, შემოსავლების სამსახურში, დაზღვევისა და საბაჟო სფეროს ორგანიზაციებში და ამასთანავე, სურვილის შემთხვევაში გააგრძელოს სწავლა დოქტურანტურაში. კურსდამთავრებული შეძლებს დაიკავოს მაღალი დონის სამენეჯერო პოზიციები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში, საკონსულტაციო ფირმებში, ერთობლივ საწარმოებში და ა.შ.<br>მაგისტრს უნარი შესწევს მიიღოს მონაწილეობა და მოახდინოს ქვეყნისა და საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ნორმალიზება, უზრუნველყოს ბიზნესის ეფექტიანი წარმართვა, საქართველოს საწარმოთა მსოფლიო ბაზარზე გასვლის ფინანსური სტიმულირების მექანიზმის შემუშავება.<br>კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ ფინანსების, არამედ ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფართო პროფილით, შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით. |

| პროგრამის სახელწოდება: | მათემატიკა |
|---|---|
| დაშვების წინაპირობა | საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | მათემატიკის მაგისტრი |
| პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა | 120 ECTS კრედიტი.<br>სპეციალობის ძირითადი დისციპლინები მოიცავს – 75 კრედიტს (მათ შორისაა 50 კრ. სავალდებულო სასწავლო კურსები და სპეციალობის არჩევითი მოდულები – თითოეული 20 კრედიტის ფარგლებში, ხოლო 5 კრედიტი არჩევითი უცხო ენაა – რუსული ან ინგლისური). საკუთრივ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 15 კრედიტია, ხოლო 30 კრ. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას ეთმობა. |
| სწავლების გადასახადი | სწავლება უფასოა |
| საკონტაქტო პირი | პროფესორი გივი ჭუმბურიძე<br>ტელ.: 599719989 ელფოსტა: givi.chumburidze@mail.ru |
| პროგრამის მიზანი | მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:<br>მისცეს მაგისტრს თანამედროვე მიღწევათა შესაბამისი ღრმა, საფუძვლიანი და სისტემური განათლება მათემატიკის ფუნდამენტურ მიმართულებებში, რომელიც პრობლემების კვლევისას აძლევს მას ორიგინალური იდეების შემუშავებისა და გამოყენების საშუალებას;<br>✓ გამოუმუშავოს მას სამეცნიერო კვლევასა და სხვადასხვა პრაქტიკულ პრობლემათა გადაჭრაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების უნარი.<br>✓ უზრუნველყოს მრავალმხრივი და ფართო განათლების მიღების ინტერესების მქონე მაგისტრანტ სტუდენტთა მისწრაფებების დაკმაყოფილება მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებში არჩევითი მოდულების შეთავაზებით;<br>✓ გამოუმუშაოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია მეცნიერების, ტექნიკისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში წარმოქმნილი თეორიული და/ან პრაქტიკული პრობლემების გაგების, ანალიზის, შეფასების და გადაწყვეტის უახლესი მეთოდებისა და გზების შემუშავება.<br>✓ შესძინოს სტუდენტს უნარ-ჩვევები თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიური მიღწევების დონეზე აკადემიურ და სამეცნიერო საზოგადოებას გააცნოს თავისი დასკვნები, არგუმენტაციები, კვლევის მეთოდები და შედეგები. |
| შეფასება | სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:<br>A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში |
| სწავლის შედეგები | |
| **ცოდნა და გაცნობიერება**<br>აქვს მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებების :მათემატიკური ანალიზის , ალგებრის , ანალიზური | |

| | |
|---|---|
